ხაშურის მოამბე

№33 (406) 4 სექტემბერი, ორშაბათი, 2023 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა წლიური ბიუჯეტის შესრულების საუკეთესო ფორმატის ჯილდო დაიმსახურა

უმაღლესი ჯილდო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციისგან მიიღო.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა პირველობა საქართველოს 64 თვითმმართველი ერთეულის შესაბამის სამსახურებთან კონკურენციის პირობებში მოიპოვა.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის პრეზიდენტ დავით ხოსრუაშვილისგან საპატიო ჯილდოს გადაცემას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელ ლელა მაჭარაშვილთან ერთად ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი და საფინანსო, სახაზინო და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების ხელმძღვანელი მარი მახაჭაშვილი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს და მადლობას

უხდის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურს, მის ხელმძღვანელ ქალბატონ ლელა მაჭარაშვილს, თითოეულ თანამშრომელს და უსურვებს მომავალ წარმატებებს პირად და პროფესიულ საქმიანობაში.

დიდი მეცნიერის საჩუქარი მშობლიური ქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს

მისი ფსევდონიმი „ლადო ხაშურელია“. სამშობლოსგან შორს მყოფი მეცნიერი, ვლადიმერ ბარბაქაძე არ ივიწყებს მშობლიურ მხარეს და ყოველ ზაფხულს სტუმრობს საკუთარ სახლს ხაშურში.

წელს, ბატონი ვლადიმერი კვლავ ხაშურშია და ჩვეული გულმოდგინებით თანამშრომლობს მუზეუმელებთან. მან თავისი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, პირადი საბუთები: დიპლომები, სიგელები და სერტიფიკატები გადასცა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს საჩუქრად.

ვლადიმერ ბარბაქაძე დაიბადა 1940 წელს, ხაშურში. 1957 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა ოქროს მედალზე.

1962 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1962-1965 წ. წ. მუშაობდა თბილისის საპრტოექტო ინსტიტუტ „სოიუზდორპროექტ“-ში, ინჟინერ-კონსტრუქ-ტორად.

1967-1968 წ. წ. იყო გერმანიის ქ. დრეზდენის სატრანსპორტო უნივერსიტეტის სამშენებლო მექანიკის კათედრისა და დრეზდენის უნივერსიტეტის ასპირანტი.

1969 წელს დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. 1974 წელს მიენიჭა დოცენტის წოდება. 1980 წელს დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. 1983 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1965 წლიდან ის 30 წლის განმავლობაში ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ და კვლევით მუშაობას მოსკოვის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში, სადაც განვლო გზა ასპირანტიდან პროფესორამდე.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სამი ქვეყნის აკადემიკოსი ვლადიმერ ბარბაქაძე 300-მდე სამეცნიერო ნაშრომის, 20 სამეცნიერო წიგნის და სახელმძრვანელოს, 37 სავტორო მოწმობის, მათგან 3 პატენტის ავტორია. მისი შრომები გამოქვეყნებულია მრავალ ქვეყანაში - გერმანიაში, ინგლისში, აშშ-ში, შვედეთში, საქართველოში, ინდოეთსა და რუსეთში. არის 20 წიგნისა და სახელმძღვანელოს ავტორი.

3. ბარბაქაზე არის ავტორი ორიგინალური სამეცნიერო ნაშრომებისა სამშენებლო კონსტრუქციების სფეროში, რომელთაც ანალოგი არ გააჩნია.

მათ შორის:

-სამშენებლო კონსტრუქციების გაანგარიშებისა და დაპროექტების თეორია დეფორმირებულ გარემოში კუთხური ამონაჭერის გათვალისწინებით(დაამუშავა შერეული მეთოდი, რომელიც გამოიყენება დეფორმირებულ გარემოში სამშენებლო კონსტრუქციის ამოცანების გამოსათვლელად);

-რკინაბეტონის და არმოპოლიმერბეტონის კონსტრუქციების მოდელირების თეორიისა და პრაქტიკის საკითხების დამუშავება;

-ოპტიმიზაციის საკითხების განვითარება და სამშენებლო კონსტრუქციების კვლევა მოდელებზე(სტატიკა, დინამიკა), კონსტრუქციათა და ნაგებობათა ხანგამძლეობა და საიმედოობა.

2008 წლის მეცნიერებათა ნომინაციის მონაწილე ვლადიმერ ბარბაქაძის მონაცემები შეტანილია წიგნში „XXI საუკუნის უდიდესი მოაზროვნენი“ და „კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრი“. არის ამერიკის ორი შტატის და ქალაქ ჯექსონის საპატიო მოქალაქე. დაჯილდოებულია სიგელებით „Great Minds of XXI Cenctury” და მედლებით.

აკადემიკოს ვ. ბარბაქაძის სახელი დაერქვა დიდი დათვის თანავარსკვლავედის ორბიტაში შემავალ ერთ-ერთ ვარსკვლავს.

ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისის“ ანგარიში 2023 წლის ექვს თვეში საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლებისა და გაწეული საქმიანობის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების, საგზაო ინფრასტრუქტურის, გარე განათების მოვლა-პატრონობის და სასაფლაოს მოწყობისა და მოვლის-პატრონობის ღონისძიებების

		ხელფასი	საქონელი და მომსახურება	სულ საფინანსება
1	დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები	720165,6	443334,4	1163500
2	ხაშურის მუნიციპალიტეტის გარე განათება	92782,8	226317.2	319100
3	ხაშურის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-პატრონობა	161502	163998	325500
4	სასაფლაოს მოვლა-პატრონობისა და სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა	34584	28816	63400
	ჯამი	1009034,4	842465,6	185150

პროგრამის განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2023 წლისათვის გამოიყო 1851500 ლარის სუფსიდია.(დაფინანსება).

2023 წელის მაისის თვეში ადგილობრივი ბიუჯეტიდან საქონელი და მომსახურების მუხლში, დასუფთავებისა და სანიტარული

		ხელფასი	საქონელი და მომსახურება	სულ საფინანსება
1	დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები	720165,6	493334,4	1213500
2	ხაშურის მუნიციპალიტეტის გარე განათება	92782,8	226317.2	319100
3	ხაშურის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-პატრონობა	161502	163998	325500
4	სასაფლაოს მოვლა-პატრონობისა და	34584	28816	63400
	ჯამი	1009034,4	912465,6	1921500

ღონისძიებების პროგრამაში დაგვემატა 50 000 ლარი, ხოლო შიდა გზების მოვლა-პატრონობის პროგრამაში 20 000 ლარი. რის შემდგომ 2023 წლის მთლიანმა დაფინანსებამ შეადგინა 1 921 500 ლარი.

ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისს“ 2023 წლის ექვს თვეში გეგმით გათვალისწინებული იყო 1 126 500 ლარის დანახარჯი, მათ შორის საქონელი და მომსახურების მუხლში 621986 ლარი, ხოლო ხელფასის მუხლში 504514 ლარი. ფაქტობრივად გახარჯული იქნა ადგილობრივი ბიუჯეტიდან 869735,57 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან - 52500,7 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობისათვის, ექვს თვეში, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიიღებული იქნა 869735,57 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან გახარჯული იქნა საბრუნავი საშუალებების შესაძენად 52500,7 ლარი. სულ დანახარჯებმა შეადგინა 922236,27 ლარი. საიდანაც ხელფასის დანახარჯებმა შეადგინა 513798,14 ლარი, პროგრამით გათვალისწინებული დავალებების შესასრულებლად ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისის“ მიერ ჩატარებული იქნა ტენდერები, კონსოლიდირებული ტენდერით მომწოდებლებთან გაფორმებული იქნა 8 ხელშეკრულება თანხით 498850 ლარის, ჩატარდა 11 ელექტრო ტენდერი თანხით 324870 ლარის . მომწოდებლებთან გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმდა 628 ხელშეკრულება თანხით 32265.35 ლარის. სულ საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა 855985.35 ლარი.

შეძენილი იქნა 267097 ლარის საწვავი. მათ შორის: 67170 ლიტრი დიზელის საწვავი, თანხით - 186138,05 ლარის, 5612 ლიტრი ბენზინი თანხით 14641,72 ლარის და 45114 კბმ ბუნებრივი გაზი, თანხით 66317 ლარის. კომუნალური გადასახადების დანახარჯებმა შეადგინა - 6946,71 ლარი, მათ შორის: სატელეფონო მომსახურება და ინტერნეტის დანახარჯია (სილქნეტი) 1239,54 ლარი, გათბობისათვის გახარჯული გაზის ღირებულება- 4191 ლარი, გახარჯული ელექტრო ენერგიის ღირებულება- 1516,2 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების პროგრამის განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 1 213 500 ლარი, საიდანც ხელფასის ფონდი შეადგენს 720165 ლარს, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლი განისაზღვრა 433334,4 ლარით. დასუფთავების პროგრამის შესრულებაზე დასაქმებულია 125 თანამშრომელი. ერთი მენეჯერი, 5 სპეციალისტი, 4 მუშა-ბრიგადირი, 38 მეეზოვე, 32 მუშა, 22 დასუფთავების ქვითრების დამრიგებელი, 6 დამლაგებელი, 13 მძღოლი. დასუფთავების პროგრამის შესასრულებლად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 1100 ლიტრიანი 796 ცალი ნაგვის კონტეინერი (298 ცალი პლასტმასი, 498 ცალი რკინის) , გამოიყენება ექვსი ერთეული ნაგავშემკრები სპეცტექნიკა და ხუთი სატვირთო ავტომანქანა. ყოველდღიურად ქ.ხაშურში იგვება 48100 მ 2, ხოლო დაბა სურამში 15500 მ 2 ფართი. თვეში ერთხელ ვახორციელებთ ქ.ხაშურში და დაბა სურამში საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება -გაწმენდას 638000 მ 2- ზე. 2022 წელს ხაშურის ნაგავსაყრელზე გატანილი იქნა 83669 მ 3 საყოფაცხოვრებო ნარჩენი. 2023 წელს დასუფთავების მუშების ყოველთვიური ხელფასი დარიცხვით, შეადგენს 525 ლარს. მეეზოვეებსა და დასუფთავების ქვითრის დამრიგებლების ყოველთვიური ხელფასი დარიცხვით შეადგენს 320 ლარს, მძღოლების ხელფასი - 500 ლარს. 2023 წლის ექვს თვეში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასუფთავების პროგრამის შესასრულებლად მიღებული იქნა 531825,53 ლარი . ადგილობრივი შემოსავლებიდან მიღებული იქნა 57845 ლარი ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში გარე განათების სისტემის მოვლა- შენახვასა და რეაბილიტაციაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2023 წლის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის გამოყოფილია 319 100 ლარი.საიდანაც ხელფასის ფონდი შეადგენს 92782,8 ლარს,ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლი განისაზღვრა 226317,2 ლარით. გარე განათების ელექტრო ხაზების სიგრძეა 405325 მეტრი. ელექტრო სადენების ბოძები განლაგებულია ყოველ 35 მეტრში და სულ აღირიცხება 11581 ელექტრო საყრდენი ბოძი და ამდენივე სანათი. 11581 ელექტრო საყრდენი ბოძიდან 10933 ბოძი არის ელქსელების საკუთრებაში , ხოლო 648 ბოძი მუნიციპალიტეტის საკუთრებაა. გარე განათების 11581 სანათიდან 3000 არის დიოდური სანათი, ხოლო დანარჩენი 8581 სანათი არის ჩვეულებრივი ვარვარა ნათურები. გარე განათების სისტემის მოვლა-შენახვასა და რეაბილიტაციაზე დასაქმებული ცხრა თანამშრომელი: ერთი მენეჯერი. ერთი ბრიგადირი, ხუთი ელექტრიკოსი ორი მძღოლი , რომლებიც ემსახურებიან ორ სპეცავტომანქანას (ამწეკალათსს)

2023 წელს ექვს თვეში გარე განათების მოვლა-პატრონობისათვის საჭირო მასალების შესაძენად ჩატარდა ორი ელექტრონული ტენდერი თანხით 56990 ლარი. შეძენილი იქნა სხვადასხვა ამპერისა და ტიპის 1100 ცალი ნათურა და სხვადასხვა სახის ელექტრო საქონელი, რომლებიც გამოყენებული იქნა მუნიციპალიტეტის დასახლებებაში არსებული გარე განათების სისტემის მოვლა-შენახვის სამუშაოების შესასრულებლად. 2023 წელს გარე განათების მოვლა შენახვასა და რეაბილიტაციაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიხარჯა 140067,1 ლარი, საკუთარი შემოსავლებიდან მასალების შეძენაზე გაიხარჯა 30135,35 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-პატრონობაზე, 2023 წელს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 325 500 ლარი, შიდა გზების მოვლა -პატრონობაზე დასაქმებულია ექვსი თანამშრომელი: ერთი მენეჯერი, ერთი გზის ინჟინერი, ოთხი მექანიზატორი, სამი ერთეული საგზაო ტექნიკა: გზის გრეიდერი, ექსკავატორ-დამტვირთი და მუხლუხიანი ტრაქტორი. ტენდერზე შეძენილი იქნა 300კბმ ხრეში და 700 კბმ ღორღი, რომელიც გამოიყენება მუნიციპალიტეტის შიდა გზების შეკეთებაზე. 2023 წელის ექვს თვეში, შიდა გზების მოვლა-პატრონობისათვის, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული იქნა 173070,91 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან გახარჯული იქნა 2000 ლარი. გაწეული ხარჯებიდან ხელფასებზე გაიხარჯა 79016 ლარი, ხოლო 94054,91ლარი საქონელი და მომსახურების მუხლში. (საწვავი, სათადარიგო ნაწილები და სხვა საქონელი და მასალები.)

მუნიციპალიტეტის დასახლებაში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებებზე, 2023 წლისათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოყო 63400 ლარი. 2023 წელის ექვს თვეში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული იქნა 24772 ლარი. ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან მიღებულმა თანხამ შეადგინა 6720 ლარი, საიდანაც გაიხარჯა 2245,95 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიიდან სარგებლობის უფლებით გადმოცემული და ჩვენს ბალანსზე რიცხული ტექნიკა არის ამორტიზირებული, მათი შენახვა და ექსპლუატაცია ძვირი გვიჯდება. სათადარიგო ნაწილები გაძვირებულია, ასევე ძვირია საწვავ- საცხი მასალები. არსებული დაფინანსება წლის ბოლომდე არ გვეყფა. მიგვაჩნია, რომ მოძველებული ტექნიკის შესანახად საჭიროა დაფინანსების გაზრდა.

ზ. ნოზაძე ,

ა(ა)ი.პ „ ხაშურსერვისის“

დირექტორი

ულუმბო

ფრაგმენტები სოფლის ისტორიიდან

(გაგრძელება. დასაწყისი №18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29,30,31,32)

* * *

ულუმბოს მონასტერს დიდძალი - ყმა გლეხობა ჰყოლია. ეს კარგად ჩანს 1838 წლის საეკლესიო ყმების კამერალურ აღწერიდანაც. ამ დროს მონასტრის ყმა-გლეხობა - 44 კომლი დაფანტულია სხვადასხვა ადგილებში (აბისი, ბერძენაული, ვაყა, აძვისი, ოსიაური, წაღვლი, საღოლაშენი). უნდა ვიფიქროთ, ეს მხოლოდ ნაწილია ულუმბის ეკლესიის ყმა-გლეხობისა. აღწერიდან ისიც ჩანს, რომ მონასტერს ამ გლეხობას ამირეჯიბები ედავებოდნენ.

1838 წლის აღწერით ულუმბის მონასტრის ყმა-გლეხობა შემდეგ სოფლებში ცხოვრობდა:

ბერძენაული:

1. სეხნია ევსტატეს ძე შუბითიძე (55)
მისი ვაჟიშვილეი: იოანე (15), გიორგი (12), იოსები (81), ესტატე (40)
(სცსსა, ფ.254, ანაწ.1, საქ.2045, ფურც. 108)

აბისი:

2. ანდრია ბეჟანის ძე ოსაძე (60)
მისი ვაჟიშვილები: იოანე (20), პეტრე (10),
მისი ძმისწულები: 1. გიორგი (40)
ამის ვაჟიშვილები: პავლე (12), იოსები (8), სოლომანი (3), ზურაბი (1),
2. ყარამანი (16)
3. გაბრიელი (8)
3. ქრისტესია პეტრეს ძე ნიორაძე (26)
მისი ვაჟიშვილი - პეტრე (3)
მისი ძმები: გიორგი (20), ალექსი (12),

ვაყა:

4. ბერი ნიკოლოზის ძე მეტრეველი (70)
მისი ვაჟიშვილები: მიქაელი (16), ალექსი (6)
მისი ძმისწულები: 1. იოანე (28).
ამის ვაჟიშვილი - იოსები (1)
2. დავითი (19)
5. მოსე თოთლაძე (50)
მისი ვაჟიშვილები: 1. პეტრე (20)
ამის ვაჟიშვილი - ზურაბი (1)
2. გიორგი (16)
3. ალექსი (5)
მისი ძმა გლახა (30)
ამის ვაჟიშვიელბი: იოსები (7), ალექსი (4)
მისი ბიძაშვილები: 1. პავლე (30)
ამის ვაჟიშვილეი: იოსები (7), ალექსი (4)
2. შიო (23)
ამის ვაჟიშვილები: გიორგი (5), დავითი (1)

აძვისი:

6. ბესარიონ გიორგის ძე კაპანაძე (50)
მისი ძმები: 1. დავითი (45)
ამის ვაჟიშვილები: გიორგი (16), გაბრიელი (5)
2. იოანე (40)
ამის ვაჟიშვილი - მანასე (2)
3. ლაზარე (38)
ამის ვაჟიშვილი - იოსები (6),
მისი ბიძაშვილები: 1. სპირიდონი (33)
ამის ვაჟიშვილები: გრიგოლი (16), ისაკი (11), ანდრია(3)
2. პავლე (30)
3. ალექსი (20)
7. გრიგოლ მარკოზის ძე კაპანაძე (28)
მისი ვაჟიშვილი - გიორგი (38)
ამის ვაჟიშვილი - შიო (1)
მისი ძმისშვილები: 1. დავითი (45)
ამის ვაჟიშვილები: იოსები (16), პავლე (14)
2. სვიმონი (40)
ამის ვაჟიშვილები: იოანე (4), ალექსანდრე (3)
8. გაბრიელ გიორგის ძე კაპანაძე (50)
მისი ვაჟიშვილი - სვიმონი (30)
ამის ვაჟიშვილები: გიორგი (13), დავითი (3)
მისი ძმები: 1. ადამა (40)
ამის ვაჟიშვილი - იაკობი (6)
2. ალექსი (20)
ამის ვაჟიშვილები: ზურაბი (7), გიორგი (1)

9. იოანე ბერის ძე კაპანაძე (50)
მისი ვაჟიშვილები: გიორგი (22), მაქსიმე (18), ალექსი (6)
მისი ძმა - იოსები (40).
ამის ვჟიშვილები: სოლომონი (16), ევსტატი (12), ბერი (8), პავლე (1)
10. მოსე იოსების ძე კაპანაძე (60)
მისი ვაჟიშვილები: სვიმონი (30), იოსები (20), რაჟდენი (16)
11. დავით ბერის ძე ჩაჩანიძე (50)
მისი ვაჟიშვილები: ზურაბი (17), ალექსი (8), შიო (6), იოანე (1)
მისი ძმები: 1. გიორგი (40)
2. გრიგოლი (35)
ამის ვაჟიშვილი - იოსები (2)
12. ზაქარია გიორგის ძე ჩაჩანიძე (15)
მისი ძმები: 1. პავლე (32)
ამის ვაჟიშვილი - გიორგი (1)
2. პეტრე (30)
3. იოსები (23)
4. სვიმონი (20)
13. იოანე გიორგის ძე კურტანიძე (25)
მისი ძმა - სვიმონი (23)
მისი ბიძაშვილი - გლახა (18)
14. გიორგი იოანეს ძე კაპანაძე (53)
მისი ვაჟიშვილი - იოანე (10)
მისი ძმისშვილები: იოსები (25), ნიკოლოზი (20), დავითი (17)

15. გლახა იოანეს ძე კვიჟინაძე (60)
მისი ვაჟიშვილები : 1. პეტრე (30)
ამის ვაჟიშვლი - საბა (2)
2. გიორგი (26)
ამის ვაჟისვილი - იოანე (2)
3. იოსები (23),
4. გაბრიელი (18),
5. პავლე (16) .
16. იოანე პაატას ძე კვიჟინაძე (40)
მისი ვაჟიშვილები: ვასილი (12), შიო (5).
მისი ძმისწული - ანდრია (12),
მისი ბიძაშვილები: 1. იოსები (28)
ამის ვაჟიშვილი - ნიკოლოზი (8)
2. ესტატე (26)
3. დავითი (24)
4. იოანე (15)
5. გიორგი (10)

ოსიაური:

17. იოსებ გლახას ძე ჯავახიშვილი (55)
მისი ვაჟიშვილი - სვიმონი (8)
მისი ძმები: 1. პეტრე (50)
ამის ვაჟიშვილები: თევდორე (13), გაბრიელი (10).
2. იოამე (40)
ამის ვაჟიშვილი - ზურაბი (6)
ამათი ძმისშვილები: გლახა (20), ბესარიონი (14)

წაღვლი:

18. იოანე შიოს ძე მაჭარაშვილი (40)
მისი ვაჟიშვილები: გრიგოლი (12), სვიმონი (8), გაბრიელი (6)
მისი ძმისშვილები: გლახა (20), ლაზარე (12)

19. გიორგი ლაზარეს ძე ლომიძე (50)
მისი ვაჟიშვილები: 1. პავლე (30)
ამის ვაჟიშვილი - ალექსი(4)
2. პეტრე (25)
3. გრიგოლ (20)
4. ილარიონი (16)
მისი ძმა - გლახა(55)
ამათი ძმისშვილები : იოსები (22), იორდანე (16), ბესარიონი (13),გაბრიელი (11), იობი (8).
20. იოსებ სვიმონის ძე კაპანაძე (40)
მისი ვაჟიშვილი - ალექსი (7)
მისი ბიძა - გიორგი (60)
ამისი ვაჟიშვილები: პეტრე (12), დავითი (8), პავლე (5)
21. შიო ლააზრეს ლომიძე (55)
მისი ვაჟიშვილები: სვიმონი (20), სფირიდონი (15), ბესარიონი (10), დიმიტრი (8)
22. გიორგი შიოს ძე კაპანაძე (60)
მისი ვაჟიშვილები: 1. პაატა (40)
ამის ვაჟიშვილი - სვიმონი (30)
ამის ვაჟიშვილები: პეტრე (4), გრიგოლი (1)
2. პეტრე (6)
23. ქრისტესია ბერის ძე კაპანაძე (55)
მისი ვაჟიშვილები: 1. ზაქარია (25)
ამის ვაჟიშვილები: გრიგოლო (16), ალექსი (3)
2. გიორგი (16)
3. ლაზარე (8)
4. პეტრე (2)

(იქვე, ფურც. 157)

24. იორდანე კაციას ძე კილაძე (40)
მისი ვაჟიშვილი: ბესარიონი (4)
მისი ძმები: 1. გიორგი (36)
ამის ვაჟიშვილები: იოანე (11), პეტრე (8), გლახა (3),
2. იოსები (20)
3. დავითი (18)
4. პაპუნა (4).
25. დათიკო ესტატეს ძე კაპანაძე (30)
მისი ვაჟიშვილი - ესტსტე (13)
მისი ბიძაშვილი - სვიმონი (30)
ამის ვაჟიშვილი - გაბრიელი (16)
26. გიორგი ბერიკას ძე კილაძე (50)
მისი ვაჟიშვილები: იოსები (20), ანდრია (15), გრიგოლი (5)
მისი ძმა - შიო (45)
ამისი ვაჟიშვილი - სოლომონი (18)
27. თევდორე ბერის ძე ლომიძე (50)
ამისი ვაჟიშვილები: გაბრიელი (20), ლაზარე (4), ბესარიონი (2)
მისი ძმები: 1. პეტრე (35)
ამის ვაჟიშვილები: ბესარიონი (13), იოანე (10), დავითი (8)
2. გრიგოლი (30)
28. გრიგოლ გაბრიელის ძე კაპანაძე (36)
მისი ვაჟიშვილები: ალექსი (5), ზაქარია (30, პავლე (1)
მისი ძმა - იოანე (30)
29. ევსტატი ზაქარიას ძე შუბითიძე (40)
მისი ვაჟიშვილები: ზაქარია (12), იოანე (5)
მისი ძმა - ბერი (30)

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ცოცხნარასა და ქემფერში, გზის რეაბილიტაციის პროცესი გრძელდება

სოფელ ცოცხნარის გზის პროექტი გარდამავალია, სამუშაოები მიმდინარეობს როგორც სოფელ ცოცხნარაში, ასევე, ნარვანი-ქემფერის მიმართულებით, სამუშაოების ფარგლებში იგება ასფალტის საფარი, ეწყობა მილ-ხიდები და სანიაღვრეები. დაიდგმება და დაიხაზება

საგზაო ნიშნები.

მერის მოადგილემ- ზვიად ქურდაძემ და მერის თანაშემწემ- მერაბ ბარბაქაძემ მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს და აღნიშნეს, რომ ცოცხნარა-ქემფრის პროექტს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ერთობლივად აფინანსებს, ღირებულება კი 4 599 999 ლარს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა ინტენსიურად მიმდინარეობს, რაც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

ხაშურში, გორგასლის ქუჩაზე, მინისტადიონის მოწყობა მიმდინარეობს

"გორგასლის ქუჩაზე, მინი სტადიონის რეაბილიტაცია დავიწყეთ. პროექტი ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება, რადგან ტერიტორიაზე უამრავი მოზარდია და მათი ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობისთვის, ასეთი პროექტები ძალიან მნიშვნელოვანია. მინი სტადიონების მშენებლობა, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ინტენსიურად მიმდინარეობს და ტენდენცია კვლავაც გაგრძელდება"- აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერთან ერთად სტადიონის მშენებლობის პროცესს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი გაეცნო. მისი განმარტებით, გორგასლის ქუჩაზე მინი სტადიონის მოწყობა მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და ღირებულება 349 980 ლარს შეადგენს.

USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამა აცხადებს სოფლის მეურნეობის საგრანტო კონკურს, პროდუქტიულობს გაუმჯობესების მიზნით

საგრანტო კონკურსის მიზანია ადმინისტრაციულ გამყოფ ზოლთან მდებარე თემებში, სასოფლო-სამეურნეო მიკრო და მცირე საწარმოების შესაძლებლობების გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს მათ მიერ ახალი ბაზრების ათვისებას და შემოსავლებისა და დასაქმების ზრდას.

პოტენციური განმცხადებლებისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდებისა და განაცხადების წარდგენის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამა ჩაატარებს საინფორმაციო შეხვედრებს 11-ივე სამიზნე მუნიციპალიტეტში.

სრული ინფორმაცია საგრანტო კონკურსთან და საინფორმაციო შეხვედრებთან დაკავშირებით იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://jobs.ge/ge/?view=jobs&id=485736

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 15 ოქტომბერი, 2023 წელი.

კითხვების გამოგზავნის ბოლო ვადა: 30 სექტემბერი, 2023 წელი.

განმცხადებლებს შეუძლიათ კითხვების დასმა ელ-ფოსტის საშუალებით: grants@cnfageorgia.org



პირველი ქართველი დიდოსტატი – თამაში სანთლის ფიგურებით

„ჭადრაკის თამაში ზღაპრული სამყაროა.

იგი ფანტაზიისა და აზროვნების საუცხოო სარბიელია“

ბუხუტი გურგენიძე

ჩვენი ქვეყნის თერთმეტგზის ჩემპიონი, ქართველ ქალ-მოჭადრაკეთა მწვრთნელი (1989-1994 წლებში), საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, პირველი ქართველი დიდოსტატი(1970), ბუხუტი გურგენიძე დაიბადა 1933 წელს, დაბა სურამში.

სსრკ ხალხთა სპარტაკიადაზე (მოსკოვი, 1959) მომავალ მსოფლიო ჩემპიონს ბორის სპასკის მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა და II ადგილი

დაიკავა, ხოლო მსოფლიოს მაშინდელ ჩემპიონს, ლეგენდარულ მიხეილ ბოტვინიკს და პრეტენდენტს, მიხეილ ტალს გაუსწრო.

ბუხუტი გურგენიძემ საშუალო სკოლა დაამთავრა თბილისის N3 რკინიგზის სკოლაში (დირექტორი თ.შაიშმელაშვილი). რკინიგზის სკოლებს შორის იმართებოდა საქართველოს პირველობები. ერთ-ერთ ძლიერ კონკურენტს ამ შეჯიბრებებში წარმოადგენდა ხაშურის N 12 საშუალო სკოლა (დირექტორი გ.ტაბატაძე).

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სკოლებთან შედარებით, ჩვენი სკოლები არ იყვნენ უზრუნველყოფილნი ტექნიკური ლიტერატურით, რაც იმ დროს იშვიათობას წარმოადგენდა, ხაშურის ფიზიკური კულტურის მოამაგეების: სოლომონ კვანჭახაძის, ვახტანგ ჩიქოვანის, გრიშა ჯომართიძის, ნიკოლოზ ჭანკვეტაძის და ჭადრაკის მწვრთნელის სიმონ გურეშიძის ძალისხმევით, შესაძლებლობების ფარგლებში, ვეცნობოდით ელემენტარულ თეორიულ დებიუტებს.

აი, როგორ გამოიყურებოდა N12 ხაშურის რკინიგზის საშუალო სკოლის I თაობა: გუჯუ გეგელია (გუნდის კაპიტანი), ზერო მუმლაძე და გურამ ფვთაძე.

II თაობა: რობიკო ხაჩიძე (გუნდის კაპიტანი), თამაზ შენგელია, თენგიზ ნოზაძე, მურთაზ აბაიაძე და ერთადერთი გოგონა, რომელიც შეჯიბრების ახალი წესებით იყო გათვალისწინებული, გახლდათ ნათელა ფანქველაშვილი.

როგორც I , ისე II თაობები მრისხანე მეტოქეობას უწევდნენ თბილისის რკინიგზის ნებისმიერ სკოლას. აღსანიშნავია, რომ II თაობის გუნდში (პირადი მიზეზის გამო) ვერ შეძლო მონაწილეობა გურამ სტეფანიშვილმა, რომელიც ერთ-ერთ ლიდერადაც მოიაზრებოდა.

მომავალმა დიდოსტატმა ბუხუტი გურგენიძემ, როგორც თვითონ იხსენებდა, ჭადრაკის თამაში ადრეულ ასაკში დაიწყო: „ყოველ ზაფხულს სურამში ჩავდიოდი მამიდასთან. 10 წლისა ვიყავი ჭადრაკის თამაში რომ მასწავლა მამიდაშვილმა, ცნობილმა ინჟინერ-მშენებელმა კაკო ლომიძემ. 12 წლისა ერთდროულ სეანსში ვეთამაშე საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს მიხეილ შოშოვს. მაშინ ჭადრაკის შოვნა პრობლემა იყო, ამიტომ საკუთარი ხელით გამოვძერწე სანთლის ფიგურები და ისინი დავაწყე დაფაზე. შეხვედრა ჩემი გამარჯვებით დასრულდა“.

ბ. გურგენიძე წლების განმავლობაში საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს თავკაცობდა. მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, პოზიციური სტილის მოჭადრაკე მრავალი სადებიუტო სისტემის ავტორია.

ჭადრაკის სიმფონია

როგორც სიყვარულში, როგორც მუსიკაში,
ჭადრაკშიც მიმალულია ძალა, რომელსაც
ადამიანებისთვის სიყვარული მოაქვს.“

ზიგბერტ ტარაში

პირველი კონკურსის პირველი პრიზის მფლობელი კონრად ბაიერი (1828-1897), მრავალ საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებული „უკვდავი ამოცანის“ ავტორი, საჭადრაკო სამყაროში „დრაკონ რაბეის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

ლოგიკურია, რომ დიდი მნისვნელობა ენიჭება გვირგვინოსანის გარემოცვას. შექმნილ პოზიციაში საკუთარ ფიგურათა განლაგება კი არ ეხმარება, პირიქით ხელს უშლის მბრძანებელს როგორმე დაიძვრინოს თავი დამარცხებისაგან.

ამრიგად, საკუთარი გარემოცვა დათვურ სამსახურს უწევს საკუთარ მეფეს.

9 ფიგურას ერთიმეორეზე მიყოლებით შეწირვით და უკანასკნელი პაიკის საშამათო მუქარით, შავი მეფე თავს ვერ აღწევს დატყვევებისგან (თ.შ.)

ეტყობა, ადვოკატის პროფესია ამ მხრივ საგრძნობლად დაეხმარა კონრად ბაიერს!

კ. ბაიერის უკვდავი ამოცანა
(1856 წ, I პრიზი, პარიზი



1. ეb7 ლb7 2. კg6 მფg6 3.ლg8 მფf5 4. ლg4 მფe5

5. ლh5 ეf5 6. F4კf4 7. ლe2კe2 8. ეe4de 9.d4x

საბავშო შამათები

საჭადრაკო დაფასთან პატარებს შეასწავლეთ ფიგურების საწყის მდგომარეობაში განლაგება, მათი ფასეულობები და თამაშის წერა-კითხვის ანბანი (ნოტაცია), რაც საჭირო დროს და მეცადინეობას მოითხოვს. სასურველია თამაში დაიწყონ შამათებიდან. ეს ნორჩებს გაცილებით დიდად დააინტერესებს! შეეცადეთ ასწავლოთ მოკლე პარტიებში, როგორ უნდა აარიდონ თავი არასწორ სვლებს.

I – 1. e4e5 2. კC4მC6 3.ლf3კC5 4.ლf7 II - 1.f4e5 2.gef4 3.f4ლh4

III -1. e4e5 2. კC4 კC5 3. ლh5მf6 4.ლf7

დამხმარე სახელმძღვანელოდ შეიძლება გამოიყენოთ დიდოსტატ დავით გურგენიძის ნაშრომი „საჭადრაკო მაგალითები დამწყებთათვის“, თბილისი -2016 წელი. რომლის ამონარიდის დიაგრამებს ქვემოთ გთავაზობთ.

საინტერესოა ბავშვების შეჯიბრი მხოლოდ პაიკების მეშვეობით.

თეთრი და შავი პაიკები ერთმანეთს უპირისპირდებიან და ის მხარე, რომელიც პირველად მიაღწევს ბოლოსწინა ჰორიზონტალს (თეთრები VII-ს, ხოლო შავები II-ს და პაიკს გარდაქმნის ლაზიერად) გამარჯვებაც მას დარჩება. ეს გარკვეულ ურთიერთობას ამყარებს ბავშვებში და ავითარებს აზროვნებას.

მოგებული ხარობს, წაგებული განიცდის. ამ დროს „ვაი და ვიში“ არ არის

სპორტული საქციელი. ღირსეული წაგებული ხელს ართმევს მოგებულს და ფიქრობ, სად დაუშვა შეცდომა, რომ მომავალში გამოასწოროს უზუსტობა. ეს პატარა მუნასიდიც გამოხატავს ჩანაფიქრს:

„პატარა ვარ, მაგრამ მარჯვედ
წინ მივუძღვი ჯარს!
მრავალ დარტყმას ვიგერიებ
თავს ვარიდებ ნაღმს!

თუ მიხილავთ „მტრის“ ბანაკში
უვნებელს და საღს
გავიმტკიცებ გამარჯვებას
უტყუარს და ნაღდს!“

გვერდი მოამზადებულია თამაზ შენგელიას პუბლიკაციების მიხედვით.

გურამ ღონღაძე: - მინდა, ხაშური, საქართველოს ქალაქებს შორის, ერთ-ერთი პირველი იყოს

„- ჩემი გეგმები, რა თქმა უნდა, უკავშირდება ჩემს ქალაქს, მე აქ დავიბადე, აქ გავიზარდე, მიყვარს ეს ადგილი და მინდა, რომ ხაშურს და ხაშურლებს მივცე შესაძლებლობა, წარმოაჩინონ საკუთარი თავი და საკუთარი რაიონი შთამბეჭდავად. მინდა, ხაშური, საქართველოს ქალაქებს შორის, ერთ-ერთი პირველი იყოს“, - **ამბობს 28 წლის ახალგაზრდა პოეტი, დიჯეი, ივენთ მენეჯერი, მებაღე, მეღვინე... გურამ ღონღაძე, რომელსაც ძალიან დიდი სურვილი და რეალური შესაძლებლობა აქვს, საინტერესო და მრავალფეროვანი გეგმებითა და ენთუზიაზმით, მისი მშობლიური ქალაქი ჩვენს ქვეყანაში ყველასათვის მიმზიდველი და პოპულარული გახდეს.**

გურამ ღონღაძე სახელოვანი წინაპრების შთამომავალია.

„ - ბაბუაჩემის ძმა ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი იყო, ორი გამოგონების ავტორია, მცხეთის ატომური რეაქტორი კი ბაბუაჩემის, როინ ჩაჩანიძის სახელობისაა. ესენი იყვნენ ძმები როინ და გურამ ჩაჩანიძეები. მათ მამა ადრე გარდაეცვალათ და ობლობაში გაიზარდნენ. ორივე მათგანმა თავისი ისტორია, თავისი სახელი და თავისი კვალი დატოვა საქართველოს და არა მარტო საქართველოს ისტორიაში. ძალიან დიდი წვლილი აქთ შეტანილი ფიზიკაში მსოფლიოს მასშტაბით,“ - იხსენებს გურამი.

ახალგაზრდა პოეტთან საუბარი სასიამოვნო და პოზიტივით დამუხტულ გარემოში შედგა. რესპონდენტი, საინტერესო ახალგაზრდაა, რომელიც, როგორც ბევრი სხვა, პანდემიამ დაუბრუნა მშობლიურ ქალაქს. ქორეოგრაფ ნონა თედიაშვილთან ინტერვიუს მსვლელობისას გავიცანი გურამი, მასთან საუბარში კი აღმოჩნდა, რომ გურამი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული საინტერესო ახალგაზრდაა და ინტერვიუს ჩაწერის ეს შესაძლებლობაც ხელიდან არ გავუშვი.

„- ლექსების წერა მერვე კლასიდან დავიწყე, მახსოვს, როგორ დავწერე პირველი ლექსი, როგორი ემოცია ახლდა თან წერის პროცესს. ეს იყო თითქოსდა ხუმრობით დაწყებული მელექსეობა, მაგრამ შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ცოტა უკეთაც შემიძლია სტრიქონების გარითმვა, მასისგანაც წამოვიდა პოზიტივი, დადებითი ემოცია, უფრო მეტად განვავითარე ლექსის წერა და ოთხასზე მეტი ლექსი მაქვს დღეს უკვე. ვინ იყო ჩემი ლექსების პირველი მკითხველი? ჩემი კლასელები, პირველი ლექსიც სკოლაში, საკლასო ოთახში დავწერე.“

გურამ ღონღაძემ ხაშურის მე-5 საჯარო სკოლა დაამთავრა. ამბობს, რომ კარგად სწავლობდა. სხვათაშორის, რვა თვისა ყოფილა ლაპარაკი რომ დაიწყო, არც არის გასაკვირი. ბავშვობიდანვე იზიდავდა წიგნების კითხვა და სპორტი. საქართველოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, საერთაშორისო ტურნირზე ფინალშიც ასპარეზობდა. დადიოდა მხატვრულ კითხვაზე, მისი ერთ-ერთი საყვარელი ჰობია ცეკვა.

ანსამბლ „ოქროს ფარის“ ქორეოგრაფი ქალბატონ ნონა თედიაშვილი ღიმილით იხსენებს:

„ - მოცეკვავე ძალიან პატარა იყო, კარგად ვერც ლაპარაკობდა, როდესაც დედიკოს მოჰყავდა ხოლმე მეცადინეობებზე ცეკვის დარბაზში , ყველაზე პატარა მოცეკვავე იყო მთელს სტუდიაში და ძალიან საყვარელი ბავშვი. მერე უკვე რომ წამოიზარდა ჩემს ქორეოგრაფთან გააგრძელა დახვეწილობა. მაგრამ უფრო პოეზიის სიყვარულმა გადასძლია და ცეკვა ეხლა მისი ჰობია.“

სკოლის დამთავრების შემდეგ, გურამ ღონღაძემ სწავლა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელა ისტორიის ფაკულტეტზე. კიდევ უფრო აქტიურად ლექსების წერა სწორედ ამ დროს გამოსდიოდა.

„ - ლექსების წერა დავიწყე უფრო მაშინ, რადგან მაშინ საღამოებზე გამოვდიოდით ძალიან ხშირად, ბევრი საქველმოქმედი საღამო ჩავატარეთ და ძალიან ბევრ ადამიანს დავეხმარეთ მე და ჩემი მეგობრები, გვქონდა გამოსვლები სხვადასხვა ქალაქებში, ქუთაისში, ქობულეთში, ბათუმში, თბილისში. ვცდილობდით, ჩვენი თავი გაგვეცნო საზოგადოებისათვის ამ კუთხით. დასანანია, რომ ჩვენს ქალაქში არ გვაქვს, მაგრამ ბათუმში გვქონდა ჩვენი ლიტერატურული კაფე, ვმართავდით ლიტერატურულ საღამოებს. და სხვათაშორის, ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ რაღაც მსგავსი ლიტერატურული კუთხე გვქონდეს ხაშურშიც.“

ახალგაზრდა პოეტი სწავლის პარალელურად მუშაობდა კიდეც და მუდმივად ფიქრობდა საკუთარი თავის განვითარებაზე, პროფესიულ ზრდაზე. „მაკდონალდსშიც“ იყო დასაქმებული. „- მაკდონალდსში როდესაც ვმუშაობდი, ხშირად ვაწყობდით ივენთებს. ერთ-ერთი ივენთის სცენარი მთლიანად ლექსებით დავწერე. ძალიან მოეწონათ ჩემს მეგობრებს.... მათი დახმარებით შევძელით და გამოვუშვით ჩემი წიგნი, ათასობით ტირაჟით, და საკმაოდ სწრაფადაც გავავრცელეთ. გაყიდვაში მოხვდა ძალიან ცოტა რაოდენობა, დანარჩენი მთლიანად სტაფს და მეგობრებს ვაჩუქეთ.

დღესაც ვწერ, მიყვარს ძალიან მუსიკის კეთება. ელექტრონული მუსიკა არის ჩემი ფავორიტი, მაგრამ ვუსმენ ბლუზსაც. ჩემი სურვილი იყო, ვყოფილიყავი წარმატებული დიჯეი, სახლში მაქვს ჩემი პატარა კუთხე, ვცდილობ, რაღაცა შევქმნა, საკუთარი, ახალი მუსიკა. იმედი მაქვს, ოდესმე ჩემს მუსიკასაც მოუსმენს საზოგადოება. როდესაც ჩვენი რაიონის საფეხბურთო გუნდს დასჭირდა ჰიმნი, წამოვიდა შემოთავაზება, შემექმნა გუნდისთვის ტექსტი და მუსიკა. ამ ეტაპზე ვმუშაობ ჰიმნის ტექსტზე.“

გურამ ღონღაძე, როგორც ინტერვიუს დასაწყისში ვწერდი, არა მარტო ლექსების წერითა და მუსიკითაა დაკავებული. არის კოლექციონერი, მეღვინე, მებაღე... უპირატესობას ბიო პროდუქტებს ანიჭებს.

„- ჰო, ჩემი პატარა მეურნეობა მაქვს. პატარა სათბური, პატარა ეზო, მომყავს ბოსტნეული და ხეხილი. ზოგადად ვცდილობ ჯანსაღად ვიცხოვრო, ყველაფერი მქონდეს ნატურალური, ვაწარმოო ბიოპროდუქტები, რადგან ვთვლი, რომ 21-ე საუკუნეში ჯანსაღი კვება არის მნიშვნელოვანი ადამიანისათვის და მისი ენერგიისთვის. ასევე მაქვს ჩემი პატარა ყვავილების ბაღი. მიყვარს სასმელების შეგროვება. მაქვს ჩემი პატარა ღვინის კუთხე. თავადაც ვაკეთებ ღვინოს. და მაქვს რელიქვიები, რომლებსაც ვინახავ დიდი სფრთხილით და სიყვარულით.“

გურამი საკუთარი რელიქვიების კოლექციიდან წინაპრების მიერ გადმოცემულ დიდი ისტორიული ღირებულების მქონე ერთ ნივთს გამოარჩევს განსაკუთრებით. ორი თუ სამი საუკუნის ძველი ვერცხლის ქამარ-ხანჯალს. ბაბუის ბაბუის ბაბუის ბაბუის დროინდელს. იმდროინდელს, როგორც თავად ამბობს, როცა ჯერ კიდევ ქამარ-ხანჯლებით ომობდნენ. ვარაუდობენ, ქამარ-ხანჯალი არის თათრული წარმოშობის, ე.წ. მრგვალი ხმალი. ახალგაზრდა პოეტი ხელოვნებით დაინტერესებას ოჯახს და მშობლებს უკავშირებს, განსაკუთრებით დედას.

„- სხვათაშორის, ჩემი ხელოვნებით დაინტერესება და სიყვარული წამოვიდა იქიდან, რომ დედაჩემიც ბავშვობიდან იყო დაკავებული ხელოვნებით. დედაჩემი, ანა ჩაჩანიძეც წერდა. იგი ცხოვრების ამ ეტაპზე ხატავს. მისი გამოფენა, მცირე ხნის უკან, ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახელობის მუზეუმში შედგა. ცდილობს, უფრო მეტი და მეტი შექმნას.“

პირადი ამბები...

„- პირად ამბებს რაც შეეხება, ვარ უცოლო, არ მყავს ოჯახი, და მხოლოდ და მხოლოდ სათუთარი თავით ვარ დაკავებული. ვზრუნავ საკუთარი თავის განვითარებაზე.“

გურამის გეგმები ამ დროისათვის მშობლიურ ქალაქს უკავშირდება. სურვილიც დიდი აქვს და დამეთანხმებით, ვგონებ, შესაძლებლობაც, ხაშური, თანამოაზრეებთან ერთად, ახალგაზრდობისათვის მიმზიდველ და პერსპექტიულ ადგილად წარმოაჩინოს.

„- ვარ ივენთ მენეჯერი, კონკრეტულ საღამოებს ვგეგმავ. მაქვს ძალიან დიდი გამოცდილება. ვმუშაობდი ბათუმში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ კლუბში, ბულვარის ტერიტორიაზე. თითქმის ყველა რესტორანი და კლუბი ჩემი და ჩემი მეგობრების ხელშია გამოვლილი და ყველა სფეროში რაღაც ჩვენი წვლილი გვაქვს შეტანილი. ხაშურშიც მინდა, რომ ახალგაზრდებს მივცე ღამის გასართობი სივრცე და სიტუაცია, და არა მარტო ახალგაზრდებს. იმიტომ , რომ წყნარი და სასიამოვნო კუთხე ყველას სჭირდება როგორც დღე, ისე ღამე. მაქვს კარგი იდეები და მინდა ამ იდეების რეალიზება, რომელთა განხორციელებაში დავიხმარ ძალიან ბევრ ადამიანს და იმედი მაქვს, რომ მთელს ხაშურს ჩავრთავ საკუთარი ქალაქის განვითარებაში.

ხო, რაც მთავარია, თუ საკუთარი ქალაქის ხელმძღვანელობა არ გეხმარება ქალაქის განვითარებაში, ისე ვერაფერს მიაღწევ და იმედი მაქვს, რომ სამომავლოდ, ხაშურის ხელმძღვანელობა საკმაოდ კრეატიული აღმოჩნდება ამ ყველაფრისთვის. რომელი სფეროს განვითარებას ვფიქრობთ ქალაქში? ნებისმიერი კუთხით, იმიტომ, რომ ჩემი გამოცდილება მოიცავს ძალიან ბევრ სფეროს. და შემიძლია ძალიან ბევრ სფეროში მუშაობა. ბევრი რაღაცა არ გვაქვს ქალაქში, ბევრი რამ წამოსაწევია წინ და შევეცდები მაქსიმალურად ბევრი რაღაც დავხვეწოთ ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე.“

ახალგაზრდა ხაშურელი პოეტი ფიქრობს, რომ ერთი შეხედვით რთულად მისაღწევი დასახული მიზანი, შესაძლებელია მარტივად შესრულებადი აღმოჩნდეს, თუკი ცდას არ დავაკლებთ და მუდმივად, ყოველდღიურად საკუთარ თავზე ვიმუშავებთ და განვვითარდებით.

თეა ახალკაცი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.